კოლექტიური მეხსიერების როლი

პოსტ-ტოტალიტარული სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებაში

გიორგი ხარიბეგაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სრული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი: თაობა, რომელიც არ მოსწრებია საბჭოთა კავშირის დაშლას და დღეს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ელიტებს ჩაანაცვლებს, განსხვავებული კოლექტიური მეხსიერების მატარებელი იქნება. იმის აღსაწერად, თუ როგორ აისახება ეს სოციალური წესრიგის შეცვლაზე, პოლიტიკური პარადიგმის ცვლილებაზე, კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია ანალოგიური პროცესების განხილვა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმიდან პოსტ-ტოტალიტარიზმზე გადასვლის, როგორც პოლიტიკური პარადიგმების ცვლის, მაგალითზე. ემპირიულ მასალად გამოყენებულ იქნა 1930 და 1964-1969 წლებში გაზეთ „კომუნისტის“ და „პრავდას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები, რის საფუძველზეც მოხდა დისკურსის ანალიზი და ცოდნის არქეოლოგიის მეთოდით პოლიტიკური პარადიგმების შეცვლის მექანიზმებზე დაკვირვება. კვლევისას ნაჩვენებია, თუ პოლიტიკური პარადიგმების ცვლაში რა როლს ასრულებს კოლექტიური მეხსიერების, თაობების ცვლის და ხდომილების ფაქტორი, რა მოსდის დისკურსს პარადიგმის შეცვლისას და რა გავლენას ახდენს ეს საზოგადოების აზროვნების წესზე.

ძირითადი ტერმინები: კოლექტიური მეხსიერება, პოლიტიკური ელიტა, ხდომილება, პოლიტიკური პარადიგმა, ინსტრუმენტ-დისკურსი, პოლიტიკური ახლომხედველობის ფენომენი, ტოტალიტარიზმი, პოსტ-ტოტალიტარიზმი.